



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1067
01/06/2018

ქალაქი ბათუმი

1067-05-4-201806011702



ხვიჩა ბერიძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“- საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მირზა ბახტაძის 2018 წლის 18 მაისის №1411-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 15 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №4“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ხვიჩა ბერიძის 2018 წლის 25 მაისის №7536/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დანიშნოს ხვიჩა ბერიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით, 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

2. შეწყვეტილი იქნეს ხვიჩა ბერიძესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე მოსამსახურის - მძღოლის პოზიციაზე, საკუთარი განცხადების საფუძველზე, 2018 წლის 01 ივნისიდან.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხვიჩა ბერიძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე მოსამსახურედ - მძღოლად შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 08 იანვრის №85 ბრძანება.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიდლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, positioned to the right of the printed text.